№ 00000567

02/07/2024

ბრძანება №567
შპს "თეგეტა აკადემიაში" მატერიალური რესურსის გამოყენების წესის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ

02.11.2017 წელს დამოწმებული (სანოტარო მოქმედების რეგ. N: A171287872) შპს „თეგეტა აკადემიის“ წესდების 7.1, 7.3 და 7.7. მუხლების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გაუქმდეს შპს "თეგეტა აკადემიის" დირექტორის 2023 წლის 17 მარტს დამტკიცებული ბრძანება **№430**[1] შპს "თეგეტა აკადემიაში" მატერიალური რესურსის გამოყენების წესის შესახებ.

2. დამტკიცდეს შპს "თეგეტა აკადემიაში" მატერიალური რესურსის გამოყენების წესი ახალი რედაქციით წინამდებარე ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.

3. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

შპს "თეგეტა აკადემია"
დირექტორი
სიხარულიძე ოთარი

შპს „თეგეტა აკადემიის“

მატერიალური რესურსების გამოყენების წესი

თბილისი

2024

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 შპს „თეგეტა აკადემიის“ (შემდგომში - აკადემია) მატერიალური რესურსების გამოყენების წესი (შემდგომში წესი) ადგენს აკადემიის მატერიალური რესურსების ეფექტური და მიზნობრივი გამოყენების მექანიზმს და პროცედურას, მათი განკარგვისა და შეფასება-შემოწმების პროცედურას.

1.2 წესი ვრცელდება აკადემიის ადმინისტრაციულ პერსონალზე, პროფესიული განათლების მასწავლებლებზე, პროფესიულ სტუდენტებზე/მსმენელებზე და ყველა პირზე, რომლებსაც ეძლევათ დაშვება აკადემიის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე და რესურსებზე.

მუხლი 2. წესის მიზანი

2.1 წინამდებარე წესის დამტკიცების მიზანს წარმოადგენს:

2.1.1. აკადემიის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურის ეფექტური და მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფა;

2.1.2. აკადემიის ბუნებრივი დანაკარგებისა და შესაბამისად, ფინანსური დანახარჯების შემცირება;

2.1.3. აკადემიის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსის გამოყენების ერთიანი პოლიტიკის შემუშავება.

მუხლი 3. აკადემიის მატერიალური რესურსი

3.1. აკადემიის მფლობელობაში არსებული თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მას გამოარჩევს სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან და წარმოადგენს მის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას. აკადემიის ინფრასტრუქტურა სტუდენტებს აძლევს საუკეთესო პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობას.

3.2. აკადემიის მატერიალური ფასეულობები იძლევა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას. აკადემიაში სწავლება მიმდინარეობს კომფორტულ აუდიტორიებში. აკადემიის მფლობელობაში არსებული ფართი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, თითოეულ აუდიტორიაში დამონტაჟებულია პროექტორი. უსადენო ინტერნეტით სარგებლობა შესაძლებელია აკადემიის მთელ ტერიტორიაზე. აკადემიის პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ყველანაირი რესურსით, შესაბამისად, ყოველი თანამშრომლისათვის შექმნილია ხელსაყრელი სამუშაო პირობები.

მუხლი 4. მატერიალური რესურსების მოვლა-შენახვა და გამოყენება

4.1. როგორც აკადემიის შენობის, ასევე შენობაში განთავსებული მატერიალური რესურსის დაცვა და მეთვალყურეობა 24 საათიან რეჟიმში ხდება შპს ,,თეგეტა მოტორსის“ მიერ (შპს ,,თეგეტა აკადემიასა“ და შპს ,,თეგეტა მოტორსს“ შორის 30.01.2019 წელს გაფორმებული გენერალური ხელშკრულების, საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ, შესაბამისად). აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დაცულია და ძირითადი საშუალებების, ტექნიკის, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დაცვა სათანადოდ არის უზრუნველყოფილი.

4.2. აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები/მსმენელები და ყველა პირი, რომელსაც ეძლევა დაშვება აკადემიის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე და რესურსებზე, ვალდებულია დაიცვას და გაუფრთხილდეს, როგორც საერთო სარგებლობისთვის განკუთვნილ, ისე უშუალოდ მისთვის გადაცემულ ინვენტარსა და მატერიალურ ფასეულობებს.

4.3. აკადემიის დირექტორი სისტემატურად აკონტროლებს მატერიალური რესურსის მოვლა-პატრონობის და შენახვის საკითხს, ზედამხედველობს აკადემიის ბალანსზე არსებული ქონების დაცვას და უზრუნველყოფს მის რაციონალურ გამოყენებაზე კონტროლს.
4.4. აკადემიის დირექტორი ბრძანებით განსაზღვრავს მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფაზე პასუხისმეგებელ პირს.
4.5. აკადემიის მატერიალური რესურსის შენახვის პროცესში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ბუნებრივი დანაკარგების მაქსიმალური შემცირების უზრუნველსაყოფად, აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია უნდა განხორციელდეს შესაბამისი მწარმოებლის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, ხოლო ასეთის არარსებობისას, სწორი ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის წესების დაცვით.
4.6. აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები/მსმენელები და ყველა პირი, რომლებსაც ეძლევათ დაშვება აკადემიის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე და რესურსებზე ვალდებულნი არიან მიზნობრივად გამოიყენონ აკადემიის მატერიალური რესურსები. ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ასეთი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის თაობაზე აკადემიის დირექტორს ან/და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფაზე პასუხისმეგებელ პირს. აკადემიამ უნდა უზრუნველყოს დაზიანებული ინვენტარის შეკეთება ან შეცვლა გონივრულ ვადაში.
4.7. იმ შემთხვევაში, თუ აკადემიის ქონებას ემუქრება განადგურების, დაზიანების ან არამართლზომიერი ხელყოფის საფრთხე, შესაბამისმა პირმა (რომელმაც შეიტყო ამის თაობაზე) დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს აკადემიის დირექტორს ან/და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფაზე პასუხისმეგებელ პირს. თუ გარემოება მოითხოვს დაუყოვნებლივ მოქმედებას ზემოთ აღნიშნული პირი ვალდებულია თავად მიიღოს აუცილებელი ზომები.
4.8. აკადემიის ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პროფესიული სტუდენტებს/მსმენელებს და ყველა პირს, რომლებსაც ეძლევათ დაშვება აკადემიის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე და რესურსებზე არ აქვთ უფლება, რომ აკადემიის გარეთ გაიტანონ დამსაქმებლის ქონება (აკადემიის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი მატერიალური რესურსი), გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რაც უნდა შეთანხმდეს აკადემიის დირექტორთან ან/და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფაზე პასუხისმეგებელ პირთან.
4.9. შრომითი ურთიერთობის თუ სასწავლო პროცესის დასრულებისას აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები/მსმენელები და ყველა პირი, რომლებსაც ეძლევათ დაშვება აკადემიის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე და რესურსებზე ვალდებულნი არიან აკადემიას უკან დაუბრუნონ მათთვის გადაცემული მატერიალური რესურსები.

მუხლი 5. მატერიალური რესურსების შეფასება-შემოწმება და განკარგვა

5.1. აკადემიის დირექტორის გადაწყვეტილებით, შესაძლოა განხორციელდეს აკადემიის მატერიალური რესურსების შეფასება-შემოწმება ან/და ინვენტარიზაცია.
5.2. შეფასება-შემოწმების შედეგები გამოყენებულ იქნება ხარისხის მართვის მიზნებისთვის. გარდა ამისა, შეფასება-შემოწმების შედეგები გამოყენებულ იქნება სამომავლო შესყიდვების დასაგეგმად ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მატერიალური რესურსის განახლება-შეკეთების უზრუნველსაყოფად.
5.3. საჭიროების შემთხვევაში, ინვენტარიზაციის ჩასატარებლად აკადემიის დირექტორის მიერ შესაძლოა გამოყოფილ იქნას კომისია. ინვენტარიზაცია შეიძლება იყოს: გეგმიური (პროგნოზირებული) და არაგეგმიური (მოულოდნელი). გეგმიური ინვენტარიზაცია ტარდება

წინასწარ განსაზღვრულ ვადებში, ხოლო მიულოდნელი ინვენტარიზაცია ტარდება სტიქიური უბედურების და სხვა არაორდინალური მოვლენების შემდეგ, შემოწმების ჩატარების მიზნით, მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან საწარმოს ხელმძღვანელის შეცვლისას და სხვა შემთხვევებში.

5.4. აკადემიის მატერიალური რესურსების დაზიანების ფაქტის დადგენისას კონკრეტული პირის ბრალეულობის გამოკვეთა შესაძლოა გახდეს ამ პირის მიმართ დისციპლინული წარმოების დაწყების საფუძველი. დისციპლინური წარმოების შედეგების მიხედვით, შესაძლოა კონკრეტულ პირს მოეთხოვოს აკადემიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

5.5. მატერიალური რესურსის განკარგვა ხდება დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე. საქონლის მესამე პირზე რეალიზაცია შესაძლოა მოხდეს პირდაპირი მიყიდვის ან აუქციონის გზით.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1. წინამდებარე წესი ამოქმედდეს დამტკიცების დღიდან.

6.2. წინამდებარე წესის გაუქმება და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით.